საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2674 2019 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შემთხვევების განსაზღვრის თაობაზე

1. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ელექტრონული სისტემის გამოყენების გზით ურთიერთობებისას სსიპ – შემოსავლების სამსახური და ფიზიკური პირი/კერძო სამართლის იურიდიული პირი/ ადმინისტრაციული ორგანო 2021 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდნენ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან, თუ სსიპ – შემოსავლების სამსახურისათვის შესაძლებელია, განახორციელოს ფიზიკური პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის/ადმინისტრაციული ორგანოს იდენტიფიკაცია.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შემთხვევების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №88 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**